საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

ქ. მცხეთა "02" 07 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 977/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 25 ივნისის N დმ-2899 განცხადებით კომპანიის „ბიოფარმა" (მის: 50, რიუ კარნო, 92284 სიურსნე სედექსი, საფრანგეთი) წარმომადგენელმა შალვა გვარამაძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „EURESPAL" (რეგ. N 2879) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „EURESPAL" (რეგ. N 2879) საქართველოში რეგისტრირებულია 05.09.1996 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 05.09.2016 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „EURESPAL" (რეგ. N 2879) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 299, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 02.07.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანიის „ბიოფარმა“ წარმომადგენელს შალვა გვარამაძეს (მის: სულხან ცინცაძის 56, ბინა 36, თბილისი, საქართველო).

ასლი დედანთან სწორია
"02" 07 2013 წ.
ხელმოწერა